ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2923060001**
თარიღი:**01/03/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის N 28-282305884 წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გასხვისებაზე.

მუხლი 2. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის საფასური, 1 (ერთი) თვის საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM